საკონტროლო მატჩები

თბილისის "დინამოს" ფეხბურთელები როგორც ცნობილია, წინასასეზონო მზადებას გადიან შავი ზღვის სანაპიროზე, ლესელიძეში. გასულ კვირას თბილისელები საკონტროლო მატჩში შეხვდნენ მოსკოველ თანაკლუბელებს და ფრედ ითამაშეს – 1:1 მოსკოველთაგან ბურთი გაიტანა ბასალაევმა, ხოლო ანგარიში გაათანაბრა გ. ნოდიამ.

მანამდე თბილისის დინამოელებმა წააგეს მოსკოვის "ტორპედოსთან" – 0:1 ფრედ ითამაშეს დონეცკის "შახტიორთან" და ოდესის "ჩერნომორეცთან" (ორივსთან – 0:0) და დაამარცხეს დონის როსტოვის ასკ – 1:0.

”ლელო”, 12.03.1975 წ.